საქართველოს სახალხო დამცველი

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2016

სარჩევი

შესავალი 3

1. საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერება 4

1.1 აპარატის სტრუქტურული ცვლილებები 4
1.2 დასაქმებულთა რაოდენობა 5
1.3 ბიუჯეტი 6
1.4 რეგიონალური ოფისების გაძლიერება 6
1.5 მრჩეველთა საბჭოები 8
1.6 აპარატში შემოსული განცხადებები და საჩივრები 9
1.7 სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2015 წელს განხორციელებული პროექტები 11
1.8 ადამიანის უფლებათა აკადემია 13
1.9 სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზი 13

2. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებადაცვითი საქმიანობა 14

2.1. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები 14
2.2. კონსტიტუციური სარჩელები 22
2.3. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები (Amicus Curiae) 23
2.3 კანონშემოქმედებითი საქმიანობა 24
2.4. სპეციალური ანგარიშები 25
2.5. სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა 26
2.6. საუწყებათაშორისო საბჭოებში მონაწილეობა 27

3. საერთაშორისო ურთიერთობები 28

3.1. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებისათვის გაგზავნილი წერილობითი მოსაზრებები/კითხვარები 28
3.2. შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან 29
3.4 საერთაშორისო უფლებდაცვითი ორგანიზაციების წევრობა 29

4. საგანმანათლებლო საქმიანობა 30

4.1. სახალხო დამცველის საჯარო დებატები 30
4.2 სახალხო დამცველის ყოველთვიური და კვარტალური ბიულეტენები 31
ა. ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი 31

ბ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საინფორმაციო ბიულეტენი 31

გ. საინფორმაციო ბიულეტენი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით 32

4.3 ადამიანის უფლებების სასწავლო კურსები, ტრენინგები და კონკურსები 32
ა. „მე ომბუდსმენი“ 32

ბ. ესეების კონკურსი 33

გ. საზაფხულო სკოლა 33

დ. ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები 33

4.2 ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებზე საერთაშორისო ღონისძიებათა მხარდაჭერით 34

ა. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნა 34

ბ. ლტოლვილთა საერთაშორისო დღე.....34

გ. მშვიდობის საერთაშორისო დღე.....34

დ. ადამიანის უფლებათა დაცვის დღე - 10 დეკემბერი.....35

შესავალი

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მომართვიანობის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, გაძლიერდა ოფისის ადამაინური და ფინანსური შესაძლებლობები, დაინერგა არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე, გაღრმავდა და გაფართოვდა ურთიერთობები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო თუ რეგიონულ ორგანიზაციებთან, ინტენსიური გახდა ადამიანის უფლებების სხვადასხვა აქტუალური მიმართლებების შესახებ სპეციალური ანგარიშების მომზადების პრაქტიკა, შენარჩუნდა მედია-საშუალებებში ოფისის საქმიანობის მაღალი გაშუქების ტენდენცია, რეგულარული სახე მიეცა საქართველოში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დიალოგს, გაძლიერდა სახალხო დამცველის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ამოქმედდა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე ცხელი ხაზი, რამაც უფლებადარღვევებზე მონიტორინგისა და მათზე რეაგირების შესაძლებლობები გაზარდა, განგრძობითი და სისტემური ხასიათი შეიძინა სახალხო დამცველის საგანამანთლებლო საქმიანობამ, ამოქმედდა ადამიანის უფლებათა აკადემია, ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები ფოკუს–ჯგუფებთან, მომზადდა საინფორმაციო ხასიათის სოციალური რეკლამები, გაგრძელდა ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენის გამოქვეყნება და ყოველდღიურად ვრცელდებოდა ოფისის საქმიანობის ამსახველი პრესრელიზები.

მნიშვნელოვან მოვლენათა შორის აღსანიშნავია ოფისის წარმატება საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის არჩევა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ბიუროს სრულუფლებიან წევრად.

2015 წელს სახალხო დამცველის ოფისი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათშორისი კომისიებისა თუ სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებათშორის კომისიებში, საქართველო - ევროკავშირს შორის ადამიანის უფლებათა დისლოგი, აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიისა და მმართველობის ჯგუფში მუშაობა.

2015 წელს ოფისის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად საქართველოს სახალხო დამცველს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიენიჭა.

2015 წელს გაფართოვდა სახალხო დამცველის წარმომადგენლობის არეალი რეგიონებში. გაიხსნა ახალი ოფისი გურიაში, გაიზარდა საკონტაქტო პირების გეოგრაფიული განფენილობის მაჩვენებელი, გაგრძელდა ომბუდსმენის რეგულარული ვიზიტები რეგიონებში, სადაც შესაძლებლობა ჰქონდა

ადგილზე არსებულ პრობლემებს გაცნობოდა. შეხვედრები გაიმართა მოსახლეობასთან, ესევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლებთან.

1. საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერება

1.1 აპარატის სტრუქტურული ცვლილებები

2015 წლის მარტის თვეში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ახალი სტრუქტურულ ერთეული შეიქმნა - საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომლის ამოცანებს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის ურთიერთობის ორგანიზებასა და კოორდინაციას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან.

დეპარტამენტი, ასევე, სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციების, დებატების, პრეზენტაციების, სამუშაო შეხვედრების) ორგანიზებას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, საზოგადოებასთან და მედიის საშუალებებთან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ეფექტური ურთიერთობის უზრუნველყოფა საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს.



თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარაში 2015 წელს შეიქმნა თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებში შედის სამხედრო მოსამსახურეთა, წვევამდელთა და სამხედრო სარეზერვო მოსამსახურეთა, ესევე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა უფლებების დაცვა.

გარდა სახალხო დამცველის აპარატში შემოსული თავდაცვის ფეროში არსებულ ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადებისა, დეპარტამენტი ეხორცილებს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებების მონიტორინგს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობის მიზნით.

1.2 დასაქმებულთა რაოდენობა

2015 წელს სახალხო დამცველის აპარატში მომუშვე პირთა რაოდენობამ 143 შეადგინა[1], რომელთაგან 23 თანამშრომელი იყო დასაქმებული სხვადასხვა პროექტების ფარგლებში და აპარატის თანამშრომელბს განხცადებების განხილვაში თუ მონიტორინგის განხორციელებაში ქმედით დახმარებას უწევდა.
სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსის ზრდა განპირობებულია, მათ შორის, სახალხო დამცველის მანდატის გაფართოებითა და რეგიონული წარმომადგენლობის გაძლიერებით.

[1] (109 შტატით გათალისწინებული, 11 შტატგარეშე, 23 პროექტის ფარგლებში დასაქმებული).



1.3 ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო დამცველის საბიუჯეტო დაფინანსება მზარდია ყოველწლიურად, რაც არსებითად განპირობებულია, ბოლო წლების განმავლობაში სახალხო დამცველის მანდატის გაფართოებით. მზარდია სხვადასხვა პროექტების ფარგლებში სახალხო დამცველის დაფინანსებაც. მონაცემები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსების შესახებ:



1.4 რეგიონალური ოფისების გაძლიერება

სახალხო დამცველი 2015 წელსაც აგრძელებს რეგიონებში მისი საქმიანობის გაძლიერებას, რომლის მიზანია ადგილზე ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი და დარღვევების აღმოფხვრისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ უფლებებზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერა.

2015 წლის 16 ნოემბერს გურიაში (საქართველო, ოზურგეთი) მორიგი რეგიონული ოფისი გაიხსნა. საქართველოს მასშტაბით სახალხო დამცველის 8 რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს, რეგიონული ოფისებში სულ 14 თანამშრომლია დასაქმებული.

იმ რეგიონებში სადაც სახალხო დამცველს წარმომადგენლობა ამ ეტაპზე არ გააჩნია შერჩეულნი არიან საკონტაქტო პირები , რომლებიც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საქმიანობენ. მათი მთავარი მიზანია ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დაინტერესებული პირებისგან განცხადებების მიღება და მომართვის პროცედურების შესახებ კონსულტაციის გაწევა, სახალხო დამცველის საქმიანობის, მანდატის და უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საქართველოს სახალხო დამცველს 6 საკონტაქტო პირები ჰყავდა შემდეგ რეგიონებში:

- რაჭა–ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- ახალციხეში, ადიგენში, ბორჯომში;
- ლაგოდეხში, სიღნაღში, დედოფლისწყაროში;
- გურიაში;
- ფოთში.

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების გეოგრაფიული მდებარეობა და საკონტაქტო პირების მოქმედების არეალი:



1.5 მრჩეველთა საბჭოები

2015 წლის 24 სექტემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა. საბჭოს საქმიანობის მიზანია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა, კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით. 2015 წლის განმავლობაში საბჭომ სამი სამუშო შეხვედრა ჩაატარა, დაიგეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით უახლოესი თვეების განმავლობაში 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები, მათ შორის, მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება, რესურსებისა და ინფორმაციების წყაროების მოძიება, კვლევისა და მონიტორინგის საველე სამუშაოების ორგანიზება.

2015 წელს სახალხო დამცველის საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო დამცველის მიერ შექმნილმა საკონსულტაციო ორგანოებმა.

2015 წლის 14 და 15 აპრილს სახალხო დამცველის აპარატს **საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს** წევრები: ნორვეგიის, ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველი ოგე ბორჩგრევინკი, კონფლიქტებისა და

თანამშრომლობის ექსპერტი იორგენ იოჰანსენი და გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო სოლიდარობის საკითხებში ვირჯინია დანდანი ყოველწლიური ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ.

საერთაშორისო ექსპერტებმა, სხვა საკითხებთან ერთად, დადებითად შეაფასეს სახალხო დამცველის ინიციატივა ადამიანის უფლებათა სკოლის შექმნის შესახებ, რომელიც 2015 წლის მეორე ნახევარში ამოქმედდება.

2015 წლის 15 აპრილს, სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში, თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საკითხებთან დაკავშირებით საჯარო ლექციები ჩაატარეს.

2015 წელსაც მნიშვნელოვანი იყო პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოსთან თანამშრომლობა, რომელიც 2014 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით შეიქმნა. საბჭოს წევრები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. 2015 წელს საბჭოს სამი სხდომა გაიმართა, რომელზეც საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების გეგმის, თემატური კვლევების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრს 10 წელი შეუსრულდა. საანგარიშო პერიოდში არაერთი შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ საბჭოებთან, რომელთა მიზანია სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისათვის საჭირბოროტო და აქტუალური საკითხების განხილვა, რაც ქვეყანაში მათი უფლებების დაცვის ხარისხს გააუმჯობესებს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის საკითხებს და ქვეყანაში ტოლერანტული კულტურის დამკვიდრებისა და სამოქალაქო განათლების დონის ასამაღლებლად ჩასატარებელ სამუშაობს. 2015 წელს, სახალხო დამცველთან არსებულმა ეთნიკურმა და რელიგიურმა საბჭოებმა ტრადიციისამებრ შეარჩიეს ტოლერანტობის ქომაგები - მედიასაშუალება, ორგანიზაცია, პიროვნება და საჯარო მოხელე, რომლებმაც მიმდინარე წლის განმავლობაში ხელი შეუწყვეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას.

1.6 აპარატში შემოსული განცხადებები და საჩივრები

2015 წელს წინა წლებთან შედარებით განცხადებების/საჩივრების მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონალური ოფისებისთვის მიმართვიანობაც იზრდება.
შემოსულ განცხადებებისა და საჩივრებს რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:





მოქალაქეები აქტიურად იყენებენ სახალხო დამცველის აპარატის კონსულტანტებთან ვიზიტებისა და სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობას.



1.7 სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2015 წელს განხორციელებული პროექტები

სხვადასხვა დონორების დახმარებით სახალხო დამცველის აპარატი პროექტებს ახორციელებს, რომელთა მიზანი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლა და მონიტორინგის განხორციელებაა. პროექტები მოიცავს ისეთ სფეროებს როგორიცაა ბავშვთა დაწესებულებების მონიტორინგი, პენიტენციალურ დაწესებულებებში შშმ პირების უფლებების დაცვის მონიტორინგი, სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში, სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა მდგომარეობის შესწავლაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონიტორინგის გაძლიერების ხელშეწყობა.

პროექტების ნაწილი აპარატისთვის მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს, მაგალითად ტექნიკის შეძენა, თანამშრომელთა გადამზადება ან/და სახალხო დამცველის გამოცემების ფინანსური უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველის აპარატის დონორები არიან ისეთი ორგანიზაციები როგორებიცაა: ევროკავშირი, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი, ევროსაბჭო და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბრიტანეთის საელჩო, ბულგარეთის საელჩო, ევროსაბჭო, USAID, UNA Georgia.

დონორი	პროექტი

ევროკავშირი	„სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“
გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი	„სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“
გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი	„სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა მდგომარეობის შესწავლაში“
გაეროს ბავშვთა ფონდი “UNICEF”	სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის მონიტორინგის კუთხით
ბულგარეთის საელჩო	სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება
ევროსაბჭო	სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობების გაძლიერება
ბრიტანეთის საელჩო	სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება
ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო	ადამიანის უფლებათა სკოლა
USAID, UNA Georgia	სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი



1.8 ადამიანის უფლებათა აკადემია

2015 წლის 19 ოქტომბერს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია გაიხსნა. სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის თანახმად, ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს.
ადამიანის უფლებათა აკადემია სახალხო დამცველის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში სამართლებრივი და სხვა ასპექტების შესახებ სამიზნე ჯგუფების ცოდნისა კვლევითი და ანალიტიკური უნარების გაღრმავებას.

1.9 სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზი

2015 წლის ნოემბრიდან სახალხო დამცველის აპარატში პირველად ამუშავდა ცხელი ხაზი სატელეფონო ნომრით – **1481.** ცხელი ხაზი ოცდაოთხსაათიან რეჟიმში, დასვენებისა და უქმე დღეებშიც, მოქალაქეებისგან სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევებზე ინფორმაციას იღებს, მათ შორის, წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე.
ცხელი ხაზის ამოქმედება მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა, უფლებადარღვევებზე დროულ რეაგირება, სახალხო დამცველის აპარატისადმი ნდობის ხარისხის ამაღლება.

ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების შემდგომ, სახალხო დამცველის აპარატის რეაგირების ჯგუფი სავარაუდო უფლებადარღვევის ადგილს ეწვევა, მათ შორის არასამუშაო დროს. ამჟამად რეაგირების ჯგუფი მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე მუშაობს.

რეაგირების ჯგუფმა, არასამუშაო საათებში სულ 11-ჯერ განახორციელა ადგილზე გასვლა, მათ შორის:

- თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გადაადგილების სავარაუდო შეზღუდვასთან დაკავშირებით;
- ფსიქიატრიულ სავაადმყოფოში სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით;
- პოლიციის განყოფილებებში პოლიციის მხრიდან სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების და სავარაუდო არასათანადო მოპყობის ფაქტებზე.



2. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებადაცვითი საქმიანობა

2.1. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები

წინამდებარე ანგარიშში შესულია ყველა ის რეკომენდაცია/წინადადება/ზოგადი წინადადება, რომელიც გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში და კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირებთან 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის პერიოდში.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების/წინადადებების რაოდენობა შემცირდა, ვინაიდან წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი სისტემური საკითხებისა და პრობლემების თავმოყრა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშებში მოხდა. სპეციალურ ანგარიშებში ადამიანის უფლებები, მისი დაცვის გარანტიები და არსებული რეალობა უფრო ფართოდ არის მიმოხილული, ამასთან გაიზარდა სპეციალური ანგარიშების რიცხვი და თემატიკაც. გარდა ამისა, სპეციალური ანგარიშები თავის-თავში მოიცავს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელთა შესრულებაზე ზედამხედველობა ექცევა საქართველოს სახალხო დამცველის მანდატში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის განმავლობაში სხვადასხვა უწყებები ადეკვატურად რეაგირებდენ სახალხო დამცველის მიმართვებზე და ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენა ხდებოდა სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის დაწყების ფარგლებში, რაც აღარ ქმნიდა რეკომენდაცია/წინადადების მომზადების აუცილებლობას.

2015 წლის განმავლობაში სულ გაიგზავნა **80 რეკომენდაცია/წინადადება**, აქედან 5 (რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება) იყო გაცემული კერძო პირებზე[2] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
გარდა ამისა, 377 რეკომენდაცია გაიცა წლის განმავლობაში მომზადებულ სპეციალურ ანგარიშებში ასახულ უფლებადარღვევებთან დაკავშირებით.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი რეკომენდაციების, წინადადებებისა და ზოგადი წინადადებების სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



2015 წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების % მაჩვენებელი:

[2] ფიზიკური და იურიდიული პირები



ჯამი (რაოდენობა, %)	80	100%
შესრულდა	40	50 %
ნაწილობრივ შესრულდა	14	17 %
პასუხი არ მოვიდა	26	33 %

რეკომენდაცია/წინადადების შესრულების ხარისხობრივი კოეფიციენტის აღნიშვნისას საქართველოს სახალხო დამცველი მსჯელობს და იღებს მხედველობაში არა მხოლოდ ფორმალურ, ნორმეტიულ კრიტერიუმებს, როგორიც არის რეკომენდაციაზე პასუხის გაცემის ფაქტი, პასუხის გაცემის ვადა, არამედ აფასებს უწყების მიერ შესრულებული მოქმედებების ეფექტურობას დარღვეული უფლებების აღდგენასთან მიმართებაში.

შესრულების ეფექტური კოეფიციენტი, ჯამი (რაოდენობა, %)	80	100%
შედეგი დადგა	32	40 %
შედეგი არ დადგა	48	60 %




არ შეასრულეს რეკომენდაცია შემდეგმა უწყებებმა
არ შესრულდა
სულ გაიგზავნა
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორს
1
1
ახმეტის მუნიციპალიტეტი
1
1
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი
1
1
თბილისის #115 საჯარო სკოლის დირექტორი
1
1
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი
1
2
საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
1
2
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
2
2
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი
2
7
საქართველოს მთავარი პროკურატურა
3
22


ნაწილობრივად შეასრულა რეკომენდაცია
ნაწილობრივ შესრულდა
სულ გაიგზავნა
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
1
1
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი
1
1
სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი
1
1
საქართველოს მთავრობა
1
2
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
1
2
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
1
3
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი
1
4
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
1
5
საქართველოს მთავარი პროკურატურა
1
22
გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია
2
2
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი
2
2
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი
2
7



ისევე როგორც 2014 წელს (40 მიმართვა), 2015 წელსაც მაღალი რჩება საქართველოს მთავარი პროკურატურისადმი მიმართვიანობა - 22 რეკომენდაცია/წინადადება, რომლიდანაც აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში სახალხო დამცველი მიმართავდა შესაძლო არასათანადო მოპტრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების წინადადებით.

აღსანიშნავია, რომ მთავარი პროკურატურისადმი წარდგენილი რეკომენდაციები მოიცავს არა მხოლოდ გამოძიების დაწყებას, არამეტ მისი ეფექტურად, დროულად ჩატარებას, რაც შესრულების ერთერთ ხარისხობრივ მაჩვენელს წარმოადგენს. სამწუხაროდ, 2015 წელს პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციით დაწყებული გამოძიების ეფექტურობა მნიშვნელოვნად დაბალია.

2015 წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები უფლებრივ ჭრილში:



სარეკომენდაციო ბუნების მიუხედავად, რეკომენდაცია/წინადადების განხილვა და კანონით გათვალისწინებულ ვადებში განხილვის შედეგების სახალხო დამცველისათვის წერილობით მიწოდება სავალდებულოა. ამასთან, რეკომენდაცია/წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს უნდა მიაწოდოს იმ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელმა, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა ან შესაბამისი თანამდებობის პირმა, **რომელსაც უშუალოდ მიმართა სახალხო დამცველმა.**

2015 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც სახალხო დამცველისადმი მიმართულ პასუხებზე ხელს აწერს არა ის თანამდებობის პირი ან ორგანოს ხელმძღვენალი, რომელზეც გაცემულია რეკომენდაცია, არამედ მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი ან სხვა უწყების თანამდებობის პირი (იმ შემთხვევაში როდესაც რეკომენდაცია/წინადადება გადაიგზავნება სხვა უწყებაში, სულ ამგვარად გადაიგზავნა 7 რეკომენდაცია/წინადადება) - ადრესატები ხელს აწერენ პასუხებს მხოლოდ 15 შემთხვევაში, 41 შემთხვევაში პასუხი გამოგზავნილია არაადრესატების მიერ.

რეკომენდაცია/წინადადების გადაგზავნა თავისთავად წარმოადგენს მათი შესრულების შემაფერხებელ გარემოებას, როდესაც ჭიანურდება დრო და შესაბამისად არ ხდება მათი ეფექტურად შესრულება. 2015 წლის განმავლობაში რეკომენდაცია/წინადადების ადრესატების მიერ სხვა უწყებაში გადაგზავნის 7 ფაქტიდან შესრულდა მხოლოდ ერთი, ნაწილობრივ შესრულდა ერთი, არ შესრულდა 5.

2.2. კონსტიტუციური სარჩელები

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოსთან აქტიურად ურთიერთობდა. საკონსტიტუციო სასამართლოში გარდა გაგზავნილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებისა, წარდგენილ იქნა კონსტიტუციური სარჩელები.

2015 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელი. სახალხო დამცველი სადავოდ მიიჩნევს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^3 მუხლის პირველი პუნქტის დებულებას, რომლითაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს რეალურ დროში მოიპოვოს ინფორმაცია კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის ხაზებიდან და უსასყიდლოდ განათავსოს სიგნალის ფიქსაციის აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები.

2015 წლის 20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს, ამ წელს, სარჩელით მეორედ მიმართა, რომლითაც გასაჩივრებულია ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირების“ მთლიანი პროცედურა, პირის წარდგენიდან, მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარვევის შესახებ სასამართლო დადგენილების გამოტანის ეტაპამდე. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პირის ადმინისტრაციული წესით „წარდგენა“ თავისი სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე თავისუფლების შეზღუდვას უტოლდება. ამ ეტაპისთვის საკონსტიტუციომ სასამართლომ საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელი წარმოებაში მიიღო.



2.3. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები (Amicus Curiae)

საქართველოს ორგანული კანონი „საქართელოს სახალხო დამცველის შესახებ“ სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებამოსილებას წარადგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოებში და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ათჯერ წარადგინა. საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ინსტიტუტის გამოყენებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან ის ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

2015 წელს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე წარადგინა:

1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა;
2. შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამო, პატიმრის პასუხისგებაში მიცემა;
3. რელიგიური ნიშნით დისკიმინაციული მოპყრობა;
4. თვითმმართველობის ერთეულიდან მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება;
5. სოციალური დაცვის სფეროში საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანაბარი პირობებით უზრუნველყოფა;
6. საქართველოს რკინიგზის თანამშრომლის მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობა;
7. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის კონსტიტუციურობა;
8. მოქალაქის ინტერესების სავარაუდოდ შევიწროება და სამსახურიდან განთავისუფლება.







2.3 კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2015 წელს საპარლამენტო მდივანი საქართველოს პარლამენტისა და სხვა უწყებებში/სამუშაო ჯგუფებში კანონის პროექტების განხილვის პროცესში მონაწილეობდა და სახალხო დამცველის პოზიციებსა და მოსაზრებებს წარადგენდა. მათ შორის, სახალხო დამცველის სახელით, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იქნა შემდეგი საკანონმდებლო წინადადებები:

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების მინიჭების თაობაზე საკანონმდებლო წინადადება;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის დამატების შესახებ საკანონმდებლო წინადადება;
3. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში და თანმდევ საკანონდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტი;
4. ადრეულ ასაკში ქორწინების რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.



2.4. სპეციალური ანგარიშები

2015 წელს საქართველო სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება სპეციალური ანგარიშების მომზადებას დაუთმო. თითოეული ანგარიში შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყებებისათვისაა განკუთვნილი. სახალხო დამცველი, ასევე, სპეციალური ანგარიშების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს გამოცემულ სპეციალურ ანგარიშებში იმ უფლებებს ეთმობა ადგილი, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშებში მანამდე არ მოხვედრილა. 2015 წელს მთლიანობაში 18 სპეციალური ანგარიში მომზადდა, მათ შორის:

1. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების ანგარიში;
2. სპეციალური ანგარიში მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგის შესახებ;
3. უფლება სათანადო საცხოვრისზე;
4. საქართველოში მცხოვრები ოსური თემის მიგრაცია და მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები;
5. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
6. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ;
7. ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 7-9 მაისი);
8. ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი);

9. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) მონიტორინგის შედეგები;
10. სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში;
11. ანგარიში N7 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტების შესახებ;
12. ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;
13. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში;
14. სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში;
15. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში;
16. განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები;
17. სპეციალური ანგარიში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში და სხვა;
18. ლტოვლითა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.



2.5. სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4] მუხლი შრომის ანაზღაურების ოცდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს.
სახალხო დამცველი სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს და სასამართლოს მიმართავს, კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობისსათვის. სასამართლო

სახალხო დამცველის ოქმს განიხილავს და კანონმდებლობით გათალისწინებული სახდელის ფარგლებში გადაწყვეტილება გამოაქვს.

2015 წელს სახალხო დამცველმა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის ჩატარებული სამართალწარმოების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



2.6. საუწყებათაშორისო საბჭოებში მონაწილეობა

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველი და მისიაპარატი სხვადასხვა საუწყებეთაშორისო საბჭოებსა თუ კომისიების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული, რომელთა ნაწილში მონაწილეობა განსაზღვრულია საქართველოს კანონით, მაგალითად, იურიდიული დახმარების საბჭოში[3].

სამუშაო კომისიების/ჯგუფების ნაწილი კონკრეტული საკითხების განსახილველად შეიქმნა და შესაბამისი დასკვნის ან სხვა შემაჯამებელი დოკუმენტის მიღებისას დაასრულა საქმიანობა, მაგალითად, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე შექმნილი კომისია“ და „საქართველოს პარლმანეტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, ე.წ. „მოსმენების“ საკითხზე“.

[3] საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, მუხლი 10.

2015 წელს სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმა 37 საუწყებათაშორისო საბჭოს, კომისიისა თუ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის:

- აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- ადამიანის უფლებათა დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო;
- ადამიანის უფლებების სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკორდინაციო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი კონფლიქტებით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფი;
- საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისათვის განსაზღვურული სამუშაო ჯგუფში.

3. საერთაშორისო ურთიერთობები

3.1. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებისათვის გაგზავნილი წერილობითი მოსაზრებები/კითხვარები

2014-2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა 13 წერილობითი მოსაზრება/კითხვარები მოამზადა, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში გააგზავნა, მათ შორის:

- გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს;
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს;
- რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიას;
- კანადის მიგრაციისა და ლტოლვითა საბჭოს;
- გაეროს სპეციალური მომხსენებელს;
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს დამოუკიდებელი ექპერტს;



3.2. შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

სახალხო დამცველი საქართველოში აკრეტიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებს ხშირად ატარებს. შეხვედრებისას საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილება.
2015 წლის განმავლობაში შეხვედრები ჩატარდა ისეთ ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან, როგორიცაა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, ადამიანის უფლებათა კომისარი, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) პროკურორი, ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისია, ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარე და სხვა.

3.4 საერთაშორისო უფლებდაცვითი ორგანიზაციების წევრობა

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი (International Coordinating Committee of National Institutions for the protection and Promotion off Human Rights) რომელიც აერთიანებს 4 რეგიონის: აფრიკის, ამერიკის, აზიისა და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს. კომიტეტს მართავს ბიურო, რომელიც შედგება თითო რეგიონიდან არჩეული ოთხი „A“ სტატუსის მქონე ინსტიტუტისგან. გენერალური ასამბლეის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, 2016 წლის მარტიდან საქართველოს სახალხო დამცველი სამი წლით გახდება ბიუროში ევროპის რეგიონის წარმომადგენელი.

2015 წლის 1 დეკემბერს ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გამართულ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული გაერთიანების (ENNHRI) გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე, „A“ სტატუსის მქონე 21 სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუტიდან 15-მა, საქართველოს სახალხო დამცველი საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის (ICC) ბიუროს სრულუფლებიან წევრად აირჩია.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ზედიზედ მეორედ, სამი წლის ვადით აირჩიეს ევროპული ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის (ECC) წევრად, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული გაერთიანების ადმინისტრაციულ და მმართველობით საკითხებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი არის შემდეგი ორგანიზაციების წევრი:

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი (International coordinating committee of national human rights institutions for the Promotion and Protection of Human Rights (ICC);
2. ევროპის ომბუდსმენთა ინსტიტუტი (European Ombudsman Institute (EOI));
3. ევროპის საკორდინაციო კომიტეტი/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (European Coordination Committee (ECC) European Netwerk of National Human Rights Institution (ENNHRI));
4. ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელი (European Network of Ombudspersons for Children (ENOC));
5. ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტი (International Ombudsman Institute (IOI))
6. ხმელთაშუაზღვისპირეთის ომბუდსმენთა ასოციაცია (Assosiation of Mediterranean Ombudsman (AMO));
7. აზიის ომბუდსმენთა ასოციაცია (Asian Ombudsman Association (AOA)).
8. უმაღლესი განათლების სფეროში ომბუდსმენთა ევროპული ქსელი (ENOHE)

წევრია დამკვირვებლის სტატუსით ისეთ ორგანიზაციაში, როგორიცაა:

1. თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (European Network of Equality Bodies (EQUINET)).

4. საგანმანათლებლო საქმიანობა

4.1. სახალხო დამცველის საჯარო დებატები

2015 წლის განმავლობაში 7 საჯარო დებატი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ექსპერტები, სახელმწიფო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოამდგენლები იღებდნენ, ასევე, დებატების თემატიკით დაინტერესებული პირები.

სახალხო დამცველის საჯარო დებატები პირველად 2014 წლის 28 თებერვალს ჩატარდა და მას შემედეგ ყოველი თვის ბოლო პარასკევს იმართება. საჯარო დებატების მიზანია აქტუალურ უფლებადაცვით თემებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება.

2015 წლის განმავლობაში საჯარო დებატები შემდეგ თემებზე გაიმართა:

- რეაგირება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პოლიციაში: სახელმწიფოს და საზოგადოების ხედვა;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- არის თუ არა სახელმწიფო მზად ეკომიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად;
- ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა - ხარვეზები და გამოწვევები;

- ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე: განხორციელება და მონიტორინგი;
- არასათანადო მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში - რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება?;
- საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა: მიღწევები და გამოწვევები.

4.2 სახალხო დამცველის ყოველთვიური და კვარტალური ბიულეტენები

ა. ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გამჭირვალე და ღია საქმიანობა ხელს უწყობს საზოგადოების, როგორც ობიექტური დამკვირვებლის, ნდობის მოპოვებას. 2014 წლის იანვრიდან ყოველთვიურად ორენოვანი საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის. ბიულეტენი ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით საქართველოში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების ამსახველ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მისი ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებათა განზომილებაში არსებული სიახლეებისა და საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა.

2015 წლის განმავლობაში მიერ მომზადდა და გავრცელდა 11 საინფორმაციო ყოველთვიური ორენოვანი გამოცემა, ბიულეტენი.

ბ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საინფორმაციო ბიულეტენი

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ასახვის მიზნით 2015 წელს პირველად გამოიცა პრევენციის ეროვნულ მექანიზმის ბიულეტენი, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოდის.
ბიულეტენის გამოცემა მიზნად ისახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული საქმიანობის, დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის, წამების პრევენციის სფეროში საერთაშორისო სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.
ბიულეტენის პირველ გამოცემაში მკითხველს შეუძლია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატსგაეცნოს; შეიტყოს მთავარ მოვლენის შესახებ; მიიღოს ინფორმაცია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტების თაობაზე; თვალი ადევნოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებულ ძირითად, მნიშვნელოვან აქტივობებს. ბიულეტენში მოცემულია სპეციალური რუბრიკა, სადაც სასჯელაღსრულების კონკრეტული დაწესებულების ისტორია მისი შექმნის დღიდანაა მიმოხილული. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიულეტენი სახალხო დამცველის მიერ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, გაცემული რეკომენდაციების განხილვისა და შესრულების ანალიზს შეიცავს. ამასთან, ბიულეტენში მკითხველს შეუძლია იხილოს საკანონმდებლო მიმოხილვა საერთაშორისო სტანდატრების ჭრილში და გაეცნოს ექსპერტის მოსაზრებას.

ბიულეტენის მეორე გამოცემა შეიცავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014-2015 წლებში N17, N2, N3, N8, N14 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში ასახული ძირითადი რეკომენდაციების შესრულების ანალიზს. მკითხველი გაეცნობა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატს; მიიღებს ინფორმაციას სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ გამართული შეხვედრებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ; ასევე, ზაფხულის განმავლობაში დახურულ ინსტიტუციებში განხორციელებული ვიზიტების თაობაზე; შეიტყობს როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში ვითარება სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში.

ბიულეტენის მესამე გამოცემა შეიცავს ინფორმაციას ორი მნიშვნელოვანი სპეციალური ანგარიშის შესახებ, რომელიც პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა შემოდგომაზე მოამზადა და საზოგადოებას წარუდგინა. ასევე მიმოხილულია პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში ხანგრძლივი პაემანის განხორციელების უფლების შეზღუდვის საკითხი; მკითხველს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემოდგომის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში განხორციელებული ვიზიტების თაობაზე; იხილოს ტრადიციული რუბრიკა, სადაც ამჯერად, სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების ისტორიაა წარმოდგენილი.

გ. საინფორმაციო ბიულეტენი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით

სახალხო დამცველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგია. 2014 წლიდან სახალხო დამცველის ინიციატივით, გააქტიურდა მუშაობა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად.

2015 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით. ბიულეტენი მოიცავს ინფორმაციას 2014 წლის იანვარში სახალხო დამცველთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს - ოსური ფორუმის შესახებ, ინფორმაციას მონიტორინგისა და კვლევების შესახებ, ასევე, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური, კულტურული და განათლების უფლებების დაცვის თაობაზე.

საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის წელიწადში ერთხელ.

4.3 ადამიანის უფლებების სასწავლო კურსები, ტრენინგები და კონკურსები

ა. „მე ომბუდსმენი“

„მე – ომბუდსმენი“ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული ტრადიციული კონკურსია, რომელიც 13–18 წლის სკოლის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. კონკურსში მონაწილეობას 2-2 მოსწავლისგან შექმნილი გუნდები იღებენ. კონკურსში მონაწილეობის მიღება როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მოსწავლეებს შეუძლიათ.

2015 წელს კონკურსი „მე–ომბუდსმენი“ მეექვსედ გაიმართა. კონკურსში რეგისტრაცია 291 გუნდმა – 582 მოსწავლემ გაიარა. პირველი და მეორე ტურის გავლის შემდეგ, მესამე, საფინალო რაუნდში

მხოლოდ 11 გუნდი და შესაბამისად 22 მოსწავლე გავიდა. ფინალური რაუნდის ნაშრომები 3 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.
გამარჯვებულებს საჩუქრად ლეპტოპები და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ, ფინალში მონაწილე ყველა მოსწავლემ სამახსოვროდ სერტიფიკატები, ივანე ჯავახიშვილის წიგნი „ქართველი ერის ისტორია“, ჩანთები და სხვა საჩუქრები მიიღეს.

ბ. ესეების კონკურსი

საქართველოს სახალხო დამცველი სტუდენტთა განათლების ამაღლების მიზნით 2014 წლიდან ესეების კონკურს მმართავს. 2015 წლის კონსკურსის თემა „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა როლი, კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენაში“ იყო. საქართველოს სახალხო დამცველმა გამოცხადებულ ესეების კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს სერთიფიკატები და პრიზები გადასცა.

გ. საზაფხულო სკოლა

საგანმათათლებლო საქმიანობის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა ორგანიზება გაუკეთა საზაფხულო სკოლას, რომელიც 2015 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ცატარდა. ადამიანის უფლებების საზაფხულო სკოლა 7-დღიანი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის მიზანია, ახალგაზრდები საქართველოს რეგიონებიდან აღჭურვოს ადამიანის უფლებების შესახებ საბაზისო განათლებით. სკოლის ფარგლებში გაიმართება ფორმალური ტრენინგები და თემატური ლექციები. მონაწილეებმა მიიღეს საბაზისო ცოდნას ადამიანის უფლებების, დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობის, კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისა და სამოქალაქო აქტივობის შესახებ. საზაფხულო სკოლის მსმენელები არიან 15-20 წლის ახალგაზრდები შიდა ქართლის, სამეგრელოს, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან.
იმავე პროექტის ფარგლებში, 2015 წლის 3-9 აგვისტოს სტამბულში ადამიანის უფლებების მეორე საზაფხულო სკოლა გაიმართა. პროგრამის ფარგლებში გაიმართა სემინარები და ლექციები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ და მასში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა, ოსმა და აფხაზმა იურისტებმა, უფლებადამცველებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა.
პროექტი დაფინანსებულია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), ეროვნული უმცირესობების საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ (OSCE HCNM).

დ. ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები

ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში საჯარო უწყებების წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების თანამშრომლებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ გაიარონ სპეციალურად მათთვის შემუშავებული ერთკვირიანი კურსები ადამიანის უფლებების შესახებ. ტრენინგებს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები უძღვებიან.
2015 წელს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში შემდეგი ტრენინგები ჩატარდა:

1. 2015 წლის ოქტომბერი. ტრენინგი მასწავლებლებისთვის თემაზე - ადამიანის უფლებების სწავლება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სკოლებში.
ტრენინგს თბილისსა და რეგიონებიდან (თელავი, გურჯაანი, მარნეული, ახალციხე, ზესტაფონი, ქუთაისი, ქობულეთი, ფოთი, ბათუმი, ონი, თერჯოლა, ნიგვზიანი, წინწყარო, ჭელა, ამბროლაური, ვარძია, მოხე, სამთაწყარო).

2. 2015 წლის ნოემბერი. რეგიონული მედიასაშუალებების 30-ე მეტ წარმომადგენლის მონაწილეობით ტრენინგი ჩატარდა. 5 დღიან ტრენინგს „გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა“ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები გაუძღვენ;

3. 2015 წლის ნოემბერი. საშუალო რგოლის სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სამხედრო ნაწილების იურისტებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებები სამხედრო სამსახურში“;

4. 2015 წლის დეკემბერი. ჩატარდა ტრენინგი - „ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

4.2 ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებზე საერთაშორისო ღონისძიებათა მხარდაჭერით

ა. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნა

2015 წლის 27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა და საერთაშორისო ფონდმა „ლეამ“ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს. ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ (ANI) და საქართველოში ისრაელის საელჩოს მხარდამჭერით გაიმართა.

ბ. ლტოლვილთა საერთაშორისო დღე

2015 წლის 11 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ლტოლვილთა საერთაშო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც ტრადიციულად პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც კახეთის განვითარების ფონდის მხარდაჭერით გაიმართა დიპლომატიური კორპუსის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ლტოლვილთა საერთაშორისო დღე დატვირთული იყო სხვადასხვა გასართობი, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებებით. შეჯიბრში მონაწილე ახალგაზრდებს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ომბუდსმენის აპარატის სახელით სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა.

გ. მშვიდობის საერთაშორისო დღე

2015 წლის 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს სახალხო დამცველმა კინოს სახლში ლიბანელი რეჟისორის ნადინე ლანაკის ფილმის - „საით მივდივართ ახლა?“ ჩვენებას უმასპინძლა.

დ. ადამიანის უფლებათა დაცვის დღე - 10 დეკემბერი

ყოველი წლის 10 დეკემბერს სახალხო დამცველი აპარატი სხვადასხვა საჯარო ღონისძიებებით აღნიშნავს ადმიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს.

2015 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს 9 დიდ ქალაქში საინფორმაციო კამპანია გამართა. კამპანიის ფარგლებში სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების მიზნით, მოსახლეობას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ესაუბრნენ, განუმარტეს სახალხო დამცველის ინსტიტუციის როლი და ფუნქციები, დაურიგეს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ამსახველი ბუკლეტები, ფლაერები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

ღონისძიებები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, ახალქალაქში, თელავსა და მარნეულში ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობის გაძლიერება საქართველოში“ მხარდაჭერით გაიმართა.